

**ՅՈՒՆԵՍԿՕ-Ի ՎԵՐԱԿՈՆԿՐԱԿՆԵՐ  
ՎԵՐԱԿՈՆԿՐԱԿՆԵՐ, ԵՎՈՒՄ ԲԱԸՆՅՈՒՆԸ**

## **ՆՅՈՒՆԿՆԵՐ ԳՐԱԿՈՆԿՐԱԿՆԵՐ**

ԳՐԱԿՈՆԿՐԱԿՆԵՐ ԵՎՈՒՄ  
ՄԵԼՈՒՆԸ -- 2021

გამომცემლობა „აქტი“, 2021 წელი

ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-3929-0



## წინასიტყვაობა

ბენედიქტ სპინოზას გარდაცვალებიდან სამ საუკუნეზე მეტი გავიდა, თუმცა ჰოლანდიელი მოაზროვნის შესახებ დღესაც აურაცხელი რაოდენობის მონოგრაფიები, სტატიები, დისერტაციები იწერება. მიზეზი მარტივია, სპინოზას ფილოსოფიის მიერ დასმული პრობლემატიკა დღემდე ამოუწურავია, ხოლო ამ პრობლემების გადაჭრის ცდები, ყოველთვის მრავალფეროვანი/წინააღმდეგობრივი განმარტებებისა და კომენტარების არეალია. ფილოსოფიის ისტორიაში სპინოზა ალბათ ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი ფიგურაა. სპინოზას დაპირისპირება თავისი დროის მაგისტრალურ ხედვებთან ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც ის 24 წლის გახლდათ. სპინოზას ებრაულ თემთან დაპირისპირებას, მისი თემიდან გარიცხვა და სასტიკი წყევლა მოჰყვა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სპინოზამ თავის სიცოცხლეში, საკუთარი სახელით მხოლოდ ერთი ნაშრომი – *კარტეზიანული ფილოსოფიის პრინციპები (1663)* – გამოსცა, ხოლო *პოლიტიკურ-თეოლოგიური ტრაქტატი 1670* წელს ანონიმურად გამოიცა, რომლის გამოქვეყნებასაც ძალზედ დიდი ხმაური მოჰყვა. სპინოზას ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილი ნაშრომი – ეტიკა – მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ, 1677 წელს დაიბეჭდა. თუმცა სპინოზამ თანამოაზრეთა წრეში სახელი „*მოკლე ტრაქტატი ღმერთზე, ადამიანსა და მის ნეტარებაზე*“ დაუსრულებელი ნაშრომით გაითქვა, რომელიც 1852 წელს აღმოაჩინეს და გამოაქვეყნეს. „*მოკლე ტრაქტატი*“ არ იყო დასრულებული, ის ისევ მონახაზად დარჩა, მაგრამ მასში ნათლად იჩინა თავი ავტორის უმდიდრესმა ცოდნამ და სულის სიმტკიცემ. სპინოზას მიერ „*ეთიკაში*“ გამოთქმული მოსაზრებები ჩანასახობრივად უკვე „*მოკლე ტრაქტატში*“ გამოითქვა: „ბუნებაში – წერს იგი, – ყველაფერი ყველაფერში გამოიხატება და ამგვარად, ბუნება შედგება უსასრულო ატრიბუტებისგან, რომელთაგან თითოეული თავისებურად სრულქმნილია. ეს სავსებით ეთანხმება ღმერთის განსაზღვრას“. „*მოკლე ტრაქტატმა*“ სპინოზა რესპუბ-

ლიკური ჰოლანდიის ყველაზე რადიკალურად განწყობილ ბურჟუაზიული ინტელიგენციის იდეოლოგიად აქცია. შეიძლება ითქვას, რომ სპინოზასთვის ფილოსოფია ცხოვრების გზა გახლდათ, სხვა სიტყვებით, სპინოზას იდეათა ბიოგრაფია და ამ იდეათა შემქმნელის ბიოგრაფია სრულ ერთიანობაშია. სპინოზას პიროვნება და მისი მოძღვრება ჰარმონიულადაა შედუღებული ერთიმეორესთან. სპინოზას შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის ანატოლი ლუნაჩარსკი: „ბურჟუაზიული ზედაფენის ჩაკეტილი არისტოკრატიზმი და გამორჩენის სულისკვეთება მას არ იზიდავდა. მაგრამ ყველაზე მეტად სძულდა ხუცები, მეცნიერული აზრის ჩაგვრა და მონარქიის პერსპექტივები“. რაც შეეხება სპინოზას ყველაზე რეზონანსულ ნაშრომს, „თეოლოგიურ-პოლიტიკურ ტრაქტატს“, აქ გამოთქმული იდეები მწვავე დისკუსიის საგნად იქცა. ხოლო თვით დისკუსია გახდა ასპარეზი პროგრესული და რეაქციული იდეების ბრძოლისა მთელი ევროპის მასშტაბით. Pro და contra ტრაქტატისა ნიშნავდა: „ემბრობი“ თუ „ენინაალმდეგები“ მეცნიერებასა და პროგრესს. სპინოზას პიროვნების შესახებ მრავლისმეტყველია 1673 წელს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი მონვევა. ჰაიდელბერგის პროფესორი ლუდვიგ ფაბრიციუსი სპინოზას ორდინარული პროფესორის ადგილს სთავაზობდა, თუმცა წინადადებას მოსდევდა პირობაც: „ფილოსოფიისათვის თქვენ მოგეცემათ უდიდესი თავისუფლება, რომელსაც, როგორც ის<sup>1</sup> იმედოვნებს, თქვენ არ გამოიყენებთ ბოროტად, საჯაროდ დანებებული რელიგიის საფუძვლების შესარყევად“. სპინოზა მაშინათვე მიხვდა, რომ „ფილოსოფიური თავისუფლებით“ შეფერადებული წინადადების მიღმა, აკადემიური ბორკილები და ძალდატანების მათრახი იმალებოდა. ის აცნობიერებდა, რომ საუნივერსიტეტო ფილოსოფია და მეცნიერება ბნელეთის მოციქულების, ხუცური იდეოლოგიის სამსახურში იყო ჩამდგარი. სწორედ ამიტომ, 1673 წლის 30 მარტს მან ფაბრიციუსს უარი შეუთვალა. მიუხედავად დევნისა და შევიწროებისა, მომქანცველი შრომისა, მყუდროებისა და თავისუფლების მუდმივი ძიებისა, სპინოზამ „მაღლა ასწია პროგრესული დროშა გონების ბრძოლისა უმეცრების წინააღმდეგ,

1. იგულისხმება მეფე – რედ. შენ.

# ბენედიქტუს სპინოზა

მოსა მობიზირიძე

## 1. სკინოზას პრობლემა<sup>1</sup>

უდავოა ის დებულება, რომ თვითოეული გენიოსი ერთი რომელიმე განსაზღვრული ეპოქის შვილია. ისტორიამ იცის კიდეც ერთი მსგავსი ჭეშმარიტება: თვითოეული დიდი ეპოქა თვითვე შობს ამ ეპოქის სახის სრულმქნელს, დიდს მოაზროვნეს ან დიდს მხატვარს. კარგს ჯოგს კარგი მეჯოგე ჰყავს, დიდ რევოლუციას – დიდი ბელადი, დიდ ისტორიულ ეპოქას დიდი მოაზროვნე. მე-17 საუკუნე ამ კანონის ცხადყოფაა. მე-16 საუკუნის დასასრულს დასავლეთის ბედი უცნაურად შეიცვალა. ოკეანეს ტალღებმა გადასწყვიტეს თუ ვის ხელთ უნდა ყოფილიყო მომდინარე ბურჟუაზიული ეპოქის სადავე. ესპანეთის უზარმაზარი სახელმწიფო, მფლობელი ურიცხვი კოლონიებისა, საზღვაო გზებისა და ისტორიაში მანამდე უმაგალითო ფლოტისა, პირველობისათვის ებრძოდა მთელ დანარჩენ ქვეყანას, უმთავრესად ჰოლანდიას და ინგლისს. და, 1588 წელს ესპანეთის ფლოტი, ფლიპეს „უძლეველი არმადა“, ინგლისის გასანადგურებლად მიმავალი, ჩანთქა ოკეანეს ტალღებმა. ესპანეთი მოიხსნა მსოფლიოს ბატონთა რუქიდან და ინგლისი დაეპატრონა მის უზარმაზარ ქონებას: კოლონიებს და ზღვას. ამ დღეს დაიბადა ბურჟუაზიის ცივილიზაცია, ინგლისური წესი კულტურისა. ამ დღესვე, 5 აპრილს 1588 წ., დაიბადა აგრეთვე ამ ეპოქის პირველი მესიტყვე: თომას ჰობზი.

ასე დაიწყო ბურჟუაზიის ბატონობის ერა. მან ორი რევოლუცია გადაიხადა ზედიზედ: ერთი ინგლისში, მეორე საფრანგეთში და ამ ორი რევოლუციის პრინციპების წინაშე დააჩოქა არამც თუ ევროპის დანარჩენი ერები, არამედ მთელი კაცობრიობა.

რალა მოუვიდა დასახელებული ბრძოლის დასაწყისის მე-3 მონაწილეს, ე.ი. ჰოლანდიას? 1588 წლის შემდეგ ინგლისთან მეტოქეობა არავის შერჩენია. ჰოლანდიამ ძალიან ადრე შეიგნო

1. წყარო: სახელგამი, 1927 წელი, ტფილისი.

ეს და ბრძოლაზე ხელი აიღო. მაგრამ მე-17 საუკუნის დასაწყისს, ჰოლანდია იყო კონტინენტის უმდიდრესი, უგანვითარებულესი და ყველაზე მეტად კულტურული ქვეყანა. ჰოლანდია შეიქმნა ცენტრი ახალი ეპოქის, ახალი სიტყვის, თავისუფლების და მოქმედების, ამსტერდამი არამც თუ ერთი უდიდესი სავაჭრო ცენტრი იყო მთელი მსოფლიოსათვის, არამედ იგი გადაიქცა ნავთსაყუდელად ყველასთვის, ვინც კი მსოფლიოს რომელიმე კუთხეში თავისუფლებას დაეძებდა: სქოლასტიკამ და ეკლესიამ მე-16 საუკუნეში განიცადეს რა უკანასკნელი იდეური გაკოტრება, ხელი მოჰკიდეს უხეშ ძალას და საზღაპრო რეპრესიების საშუალებით შეეცადენ თავის შავი ავტორიტეტის შენარჩუნებას. და სწორედ ამ დროს ჰოლანდია იყო ბუდე დევნილების და, თავისუფალ მოაზრებებისა.

ყველა ის დიდი წიგნი, რომელიც მე 16 საუკუნის დასასრულს და მე-17-ში ევროპის ხალხებმა დასწერეს, ჰოლანდიაში იბეჭდებოდა. ჰოლანდია იყო „არალეგალური“ სტამბების და აკრძალული წიგნების ქვეყანა. ვისაც ახალი სიტყვის თქმა სურდა, ახალი აზრის გავრცელება, ის თავის სამშობლოდან ჰოლანდიაში უნდა გადასახლებულიყო. მაგრამ მე-17 საუკუნის ჰოლანდია მარტო უცხოელთა თავშესაფარი არ იყო. მან მე-17 საუკუნეში ამოსწურა თავისი თავი და კაცობრიობას მისცა სამი უდიდესი გენიოსი: ჰუგო გროციუსი, ფან-რიინ რემბრანდტი და ბენედიკტუს დე სპინოზა.

\* \* \*

მიმდინარე წლის<sup>2</sup> თებერვალში 250 წელი შესრულდა სპინოზას გარდაცვალების დღიდან. მოაზროვნე კაცობრიობამ განსაკუთრებით აღნიშნა ეს დღე. ამ დღისათვის ჰაიდელბერგის სამეცნიერო აკადემიამ გამოსცა სპინოზას ნაწარმოებთა სრული კრებული. ევროპის ფილოსოფიურმა ჟურნალებმა სპეციალური ნომრები უძღვნეს სპინოზას მოძღვრებას. საბჭოთა კავშირმაც განსაკუთრებით აღნიშნა ეს გარემოება; აქაც რამდენიმე სპეციალური ხასიათის ჟურნალი მიეძღვნა სპინოზას დღესასწაულს.

---

2. იგულისხმება 1927 წელი.



**მიგეზობრიობის პრობლემა  
სპინოზას ფილოსოფიაში**

სერგი დანელია

მიზეზობრიობის პრობლემა ფილოსოფიის მთავარ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება. რა არის მიზეზი, რას ეწოდება შედეგი, როგორ უნდა იქნეს გააზრებული მიმართება მიზეზსა და შედეგს შორის – ყველა ეს ისეთი საკითხია, რომელსაც ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თეორიულ აზროვნებაში. რამდენადაც კი, თანახმად ენგელსის სიტყვებისა, „თეორიული აზროვნება დაბადებიდანვე თანდაყოლილია მხოლოდ როგორც ნიჭიერება და იგი უნდა იქნეს განვითარებული, გაუმჯობესებული, ხოლო ამისათვის აქამდე არ არსებობს სხვა საშუალება, თუ არა ფილოსოფიის ისტორიის შესწავლა“<sup>6</sup> – ამდენად სავსებით ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიზეზობრიობის შესახებ ისეთი მოაზროვნის შეხედულებათა შესწავლას, როგორც იყო სპინოზა, რომელსაც მარქსამდელი ფილოსოფიის ისტორიაში ეკუთვნის პირველხარისხოვანი როლი. ვისაც საფუძვლიანად არ შეუსწავლია სპინოზას შეხედულება მიზეზობრიობაზე, მას არ ექნება ნათელი წარმოდგენა, თუ როგორ ვითარდებოდა ფილოსოფიის ისტორიაში მიზეზობრიობის ცნება და, მაშასადამე, თანახმად ფრიდრიხ ენგელსის ზემოთ მოყვანილი სიტყვებისა, იგი ვერ შეძლებს საკმაოდ ზუსტი თეორიული ცოდნა შეიმუშაოს მიზეზობრიობის შესახებ.

როგორც საყოველთაოდ აღიარებულია, თავისი შეხედულება მიზეზობრიობაზე სპინოზამ ჩააქსოვა თავისი ფილოსოფიის სისტემაში. როგორც დეკარტთან და ლაიბნიცთან გნოსეოლოგიური იდეები გამომდინარეობდნენ მეტაფიზიკური სისტემიდან და ამ უკანასკნელის ფუნქციას წარმოადგენდნენ, სწორედ ასევე სპინოზას წარმოდგენაც მიზეზობრიობაზე გამომდინარეობდა მისი

5. ტექსტი გახლავთ ერთ-ერთი თავი სერგი დანელიას წიგნიდან – ნარკვევები ანტიკური და ახალი ფილოსოფიის ისტორიაში, 1978 წელი, გვ. 285-320.

6. Фр. Энгельс, Диалектика природы, 1932, стр. 70.

ფილოსოფიური სისტემიდან, და ამიტომაც მხოლოდ ამ უკანასკნელის ანალიზს შეუძლია მოგვცეს საშუალება სწორად გავიგოთ სპინოზას წარმოდგენა მიზეზობრივი მიმართების შესახებ.

აქედან ცხადია, თუ რამდენად დამოკიდებულია ჩვენი პრობლემის კვლევა სპინოზას ფილოსოფიური სისტემის ზოგადი შეფასებისაგან: თუ სპინოზას წარმოდგენა მიზეზობრიობაზე გამომდინარეობს მისი ფილოსოფიური სისტემიდან, მაშინ ჩვენი გაგებაც ამ წარმოდგენისა იმის შესაფერისი იქნება, თუ როგორია ჩვენი გაგება სპინოზას ფილოსოფიური სისტემის საზოგადოდ.

როგორც ცნობილია, აზრთა ერთობა სპინოზას ფილოსოფიური სისტემის გაგებაში არასოდეს არსებულა. უახლეს ლიტერატურაშიც დიდი დავა წარმოებდა, როგორც სპინოზას ფილოსოფიის გენეზისის, ისე ამ ფილოსოფიის შინაარსის ინტერპრეტაციის საქმეში. კუნო ფიშერი, მაგალითად, ამტკიცებდა, რომ სპინოზა იყო კარტეზიანელი, რომელიც ამოვიდა დეკარტის ფილოსოფიური სისტემიდან და ცდილობდა მოეხსნა ამ უკანასკნელის შინაგანი წინააღმდეგობანი, და ამის თანახმად სპინოზას ფილოსოფიაში არ მოიპოვება არც ერთი ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომლის გენეზისის გასაგებად საჭირო იყოს სხვა წყაროებისათვის მიმართვა, გარდა დეკარტის ფილოსოფიისა.<sup>7</sup> ამ საკითხში კუნო ფიშერს ეწინააღმდეგებოდნენ ზიგვარტი, ავენარიუსი, ტრენდელენბურგი და სხვ. ავენარიუსი, მაგალითად, ამტკიცებდა, რომ სპინოზა არასოდეს ყოფილა კარტეზიანელი, რომ იგი, პირიქით, მხოლოდ პოლემიკას აწარმოებდა დეკარტთან. ზიგვტი კი ფიქრობდა, რომ თავისი პანთეისტური ფილოსოფიის შესაქმნელად სპინოზა ემყარებოდა ჯორდანო ბრუნოს, რომლის ნაწერებსაც იგი, როგორც ეს დადასტურებულია, კარგად იცნობდა. არიან ისეთი ავტორები (მაგ. ფრეიდენტალი), რომლებიც სპინოზას ფილოსოფიას აკავშირებენ სქოლასტიკასთან, ხოლო ერთმა მკვლევარმა (იოელმა) შესაძლებლად დაინახა განევითარებინა ლაიბნიცის მიერ პირველად გამოთქმული მოსაზრება და სპინოზას ფილოსოფია დაეკავ-

7. К. Фишер, Спиноза, сто жизнь, сочинения и учение, 257. შდრ. ჰეგელის „Лекции по истории философии“, 1935, кн, III, стр. 284, სადაც ნათქვამია, რომ „სპინოზას ფილოსოფია იყო კარტეზიანული ფილოსოფიის ობიექტივიზება ჭეშმარიტების სახით“.

სპინოზის ფილოსოფიისათვის  
(ნაწყვეტი)

პეტრე შარია

## წინასწარი შენიშვნა<sup>81</sup>

ეს ნარკვევი წარმოადგენს გამოსწორებულ სტენოგრამას მოხსენებისა რომელიც წაკითხულ იქნა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილოსოფიური სექციის საჯარო სხდომაზე ა/წ. ნოემბრის დამლევს, სპინოზას დაბადებიდან 300 წლის შესრულების გამო.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნარკვევს სპინოზას ფილოსოფიის თუნდაც ძირითადი მომენტების ამონაწერის პრეტენზია არა აქვს. გარდა ამის, როგორც ეს ხაზგასმულია თვით მოხსენების შესავალში, სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელთა ჩამოთვლა აქ საჭირო, არაა, მოხსენებას „იმპროვიზაციის“ ხასიათი ჰქონდა. სხვა, უფრო სასწრაფო სამუშაოს გამო, მე ვერ მოვიცალე ამ მოხსენების შესავლებად და დასამუშავებლად, რაზელაც შესაძლებლობის შემთხვევაში უარს არ ვიტყვდი, თუმცა ჩვეულებრივი ლიტერატურული ეთიკა ზუსტად განსაზღვრავს საჯარო მოხსენების დამატების და შევსების ჩარჩოებს.

ამიტომ მოხსენება ქვეყნდება არსებითად იმ სახით, როგორც ის წაკითხული იყო აუდიტორიაში – არსებითად იმიტომ, რომ აზრთა გადმოცემის ფორმა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება განსხვავდებოდეს პირვანდელისაგან, რამდენად აუცილებელი იყო აღდგენა იმ მომენტებისა, რომლებიც გამორჩენილი იყო სტენოგრამაში (რომელიც, სამწუხაროდ ძალიან სუსტი აღმოჩნდა).

ეს ყოველივე მოხსენებას სიჩქარისა და საკმარისად დაუმუშავებლობის დამლას ასვამს (თუ არაფერს ვიტყვით მისი სრულებით არასაკმარის სისრულეზე), და თუ მიუხედავად ამისა, მე მაინც გადავწყვიტე მისი გამოქვეყნება ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მე-17 საუკუნის უდიდესი ფილოსოფოსის ხსოვნას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით (1932 წ. 24 ნოემბერს შესრულდა 300 წელი სპინოზას დაბადებიდან), ასე თუ ისე უნდა ეპოვნა ჩვენს პრესაში გამოძახალი, ამავე დროს თავის ეხლანდელ სახითაც მას შეუძლია სპინოზას ფილოსოფიის ზოგიერთ ძირითადი მომენტები გააცნოს მსურველებს.

### დეკემბერი 1932 წ. ტფილისი.

81. წყარო: სახელგამი 1933 წელი. წერილი წარმოადგენს ბარუხ ბენედიქტ დე სპინოზას დაბადების 300 წლის შესრულების გამო საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში წაკითხული მოხსენების სტენოგრამას.

## ბენედიქტე სპინოზას ფილოსოფია და მისი ისტორიული მნიშვნელობა

ამხანაგებო, ჩემი დღევანდელი მოხსენების ამოცანაა: სპინოზას ფილოსოფიის მხოლოდ ძირითადი მომენტების გაშუქება. ვინაიდან ერთ მოხსენებაში ისეთი უდიდესი მოაზროვნის (არა მარტო მე-17 საუკუნეში, არამედ მთელი აზროვნების განვითარების ისტორიაში, როგორც უეჭველად არის სპინოზა) ფილოსოფიის მთლიანად ამონაზრგად ყოვლად შეუძლებელია. ამისათვის საჭირო იყო პრობლემების განაწილება და მათი სპეციალური გაშუქება ცალკე მომხსენებლების მიერ. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რამდენად ასეთი განაწილება არ მოეწყო და ამ სალამოსთვის წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ძირითადი მოხსენება, სახელდობრ ჩემი, – მიზანშეუწონელი იქნება ამ მოხსენებაში მხოლოდ ერთ სპეციალურ პრობლემაზე გაჩერება, ვინაიდან მთლიანი წარმოდგენის შესადგენად აუცილებელია ზოგადი მიმოხილვა, რომელიც თუმცა ვერ ამონაზრავს ყველა საკითხებს, მით უფრო ვერ მოგვცემს მათს სპეციალურ გაშუქებას, მაგრამ მაინც მოგვცემს იმ მთლიან სისტემას, რომელსაც იძლევა სპინოზა, ძირითად მომენტში.

ზედმეტი ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეს ძნელი ამოცანაა და მით უფრო, რომ სპინოზას ფილოსოფიაზე არ არსებობს ერთსულოვანი შეხედულება, არა მარტო საერთოდ ფილოსოფიის ისტორიაში, არამედ მარქსისტ-ინტერპრეტატორებს შორისაც-კი. ეს გარემოება მაიძულებს დღევანდელ მოხსენებაში სრულებით გამოვტოვო სპინოზას ფილოსოფიის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საკითხი (შევეხები მას მხოლოდ აქა იქ, როცა ეს აუცილებელი იქნება) და შევეცადები გადმოგვცეთ განსაკუთრებით მისი ფილოსოფიის თეორიული ნაწილი, რა თქმა უნდა აუცილებელი ისტორიული კრიტიკით.

**სპინოზა და ჰეგელი: ბაბიჭუნა,  
როგორც თვითდაცნა**

დავით ბაბიჭვილი

## შესავლისათვის<sup>82</sup>

ჩვეულებრივ,<sup>83</sup> ნებისმიერი ფილოსოფიური მიმდინარეობის გაცნობისას, უმეტეს შემთხვევაში, ჩვენ ამ სააზროვნო სივრცის პირველი პრინციპიდან ვიწყებთ, ვაგრძელებთ მომდევნოთი და ა.შ., თუმცა როგორც ფრანგი ფილოსოფოსი, ჟილ დელიოზი, წერს, სპინოზას შესახებ ფიქრი არა დასაწყისიდან, არამედ შუაგულიდან უნდა ვცადოთ. შუაგულიდან დაწყება კი, ჩვენი თავის იმანენტურობის სიბრტყეზე<sup>1</sup> ჩამაგრებას ნიშნავს, რომელზეც ნებისმიერი ფილოსოფიური პრინციპი, ხდომილება, განაზრება ან მიგნება დაშენდება.<sup>2</sup> მაგრამ ეს იმთავითვე რთულია, რადგან იმანენტურობის სიბრტყეზე ყოფნა მხოლოდ სპინოზას ტექსტებთან მიახლოებას და მათ ანალიზს არ ნიშნავს. ეს ველი გაცილებით უფრო ვრცელ შენობას, მთელს სპინოზისტურ ტრადიციას იტყვის, რომელიც საკმაოდ არაერთგვაროვანია. სპინოზას ტექსტების მიმართ ინტერესი, მისი წაკითხვა ყველა ეპოქაში მრავალფეროვანი<sup>3</sup> იყო, რასაც თუნდაც ანგლო-საქსურსა და კონტინენტურ წაკითხვებს შორის მეოცე საუკუნეში მიმდინარე დისპუტიც მონიშნავს. მაგალითად, ანგლო-საქსური წაკითხვისათვის დამახასიათებელია სპინოზას ფილოსოფიის ორ სხვადასხვა, პოლიტიკურ

---

82. სტატია სპინოზა და ჰეგელი: გამიჯვნა, როგორც თვითდადგენა, პირველად გამოქვეყნდა კრებულში: კულტურა, რელიგია, ფილოსოფია, გამომცემლობა მერიდიანი, 2019 წ.

83. ავტორის მიერ ტექსტისთვის თანდართული შენიშვნები და ბიბლიოგრაფია იხილეთ 196 გვერდიდან.

### **აბრევიატურები**

**სპინოზას შრომები:** E – Ethics (Ethica), TP – Political Treatise (Tractatus Politicus), TTP – Theological-Political Treatise (Tractatus Theologico-Politicus), TIE – Treatise on the Emendation of the Intellect (Tractatus de Intellectus Emendatione), STI – Short Treatise on God, Man and Human Welfare.

**ეთიკის აბრევიატურები:** რომაული ნუმერაცია – ნაწილი D – განსაზღვრებები, S – სქოლიო, C – დასკვნა, App – დამატება.



და მეტაფიზიკურ, ნაწილად დაყოფა, ხოლო კონტინენტურს სპინოზას ფილოსოფიის ერთიანობაში ეჭვი არ შეაქვს. ფრანგი ფილოსოფოსის, ეტიენ ბალიზარის, აზრით, შეუძლებელია სპინოზას მეტაფიზიკის გამოყოფა პოლიტიკური ნაწილისაგან, რადგან მისი ყველაზე სპეკულაციური გამოთქმებიც კი, პოლიტიკური იმპერატივებით გაჟღენთილია და კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტთან არის მიბმული: „სპინოზას ნაშრომები არ იყოფა, ერთი მხრივ, მეტაფიზიკად და, მეორე მხრივ, პოლიტიკად ან ეთიკად, რომელიც პირველ ფილოსოფიასთან მიმართებით მეორეულია. სპინოზას მეტაფიზიკა პრაქსისის, მოქმედების ფილოსოფიაა, ხოლო მისეული პოლიტიკა ფილოსოფიაა, რადგან ის იმ გამოცდილების ველს აკონსტრუირებს, რომელშიც ადამიანი მოქმედებს და გათავისუფლებას მიეღობის.“<sup>4</sup>

წინამდებარე ნაშრომისათვის სპინოზისტურ ტრადიციაში არსებული ერთი კონკრეტული ტერიტორია განსაკუთრებით ღირებული და მნიშვნელოვანია. ამ სივრცის კონტურების მოხაზვა „სპინოზისტურ მობრუნებას“ უკავშირდება, რომელიც ფრანგი მოაზროვნის, ლუი ალთიუსერისა, და მისი წრის მიერ ჰეგელიანური აზროვნების ტიპზე გამძვინვარებული თავდასხმით დაიწყო. შესაბამისად, სპინოზა ფილოსოფიის მარგინალიიდან მეოცე საუკუნის პოლიტიკური და ფილოსოფიური პრობლემატიკის ცენტრალურ ფიგურად იქცა. შესაძლოა დაიბადოს კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ გახდა საჭირო ჰეგელიანიზმის დასაძლევად სპინოზასთან მიბრუნება, როდესაც იმდროინდელ ფრანგულ ფილოსოფიურ წრეებში (იგულისხმება 60-70-იანი წლები) ჰეგელის რეცეფცია სულ უფრო და უფრო ნაკლებად მასშტაბური გახლდათ და როგორც ფრანგი ფილოსოფოსის, პიერ მაშრეს, ამერიკელი მთარგმნელი სუზან რუდიკი წერს, ჰეგელთან მიბრუნება გვამის ექსპუმაციას უფრო ჰგავდა.<sup>5</sup> ჰეგელსა და სპინოზას შორის ურთიერთმიმართებას ყველა იმდროინდელი მოაზროვნე სხვადასხვაგვარად ხედავდა. მაგალითად, ლუი ალთიუსერი, თუკი საერთოდ შესაძლებელია მისი სპინოზასადმი დამოკიდებულების ერთ ფრაზაში გამოხატვა, ცდილობდა სპინოზა მატერიალისტურად წაეკითხა და მარქსიზმში არსებული ჰეგელიანური აჩრდილი სპინოზისტური იმანენტური კაუზალობით ჩაენაცვლებინა. პიერ მაშრეც ამ ხაზს მიჰყვება და სპინოზაში პრე-მარქსისტ მოაზროვნეს

## ბამოხსებობა „აქტი“-ს მიერ ბამოხსებული ნიბნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება
8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID
12. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
13. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო
14. ბერტრან რასელი – ესეები
15. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი
16. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
17. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
18. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
19. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
20. ერის ფრომი – ადამიანის სული
21. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
22. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
23. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა
24. სვამი ვივეკანანდა – მედიტაცია და მისი მეთოდები

25. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
26. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები
27. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე
28. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
29. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია
30. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
31. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა
32. ჯიდუ კრიშნამურტი – მედიტაცია
33. ოშო – რა არის მედიტაცია?
34. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე
35. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
36. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი
37. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა
38. ჯორჯ ბერკლი – ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ
39. მაჰათმა განდი – გზა ღმერთისაკენ
40. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
41. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი I
42. გ. გურჯიევი – ბელზებელის ნაამბობი შვილიშვილისთვის. წიგნი II
43. ეკჰარტ ტოლე – ანმეოს ძალა
44. ირაკლი ბრაჭული – ზეკაცის ჰერმენევტიკა: ჰიეროფანიები და ენერგეტიკული პარადიგმები
45. ნონა ხიდეშელი – მეტამორფოზა
46. ნონა ხიდეშელი – Carpe diem
47. ალექსანდრე ბერკმანი – ანარქიზმის ანბანი
48. ავტორთა ჯგუფი – სპინოზას ფილოსოფია
49. ჟან-პოლ სარტრი – ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია